

მიხეილ ჭიაურელი

მიხეილ ჭიაურელი დაიბადა 1894 წ. 6 თებერვალს, სოფიო სონდულაშვილისა და ედიშერ ჭიაურელის ოჯახში. მშობლებს, მას გარდა, კიდევ სამი ვაჟი და ერთი გოგონა ჰყავდათ. ოჯახი ხელმოკლედ ცხოვრობდა, მაგრამ მშობლები ყველანაირად ცდილობდნენ მათთვის არაფერი დაეკლოთ. უფროს შვილებს პირველდაწყებითი განათლება მიაღებინეს, ხოლო უმცროსი, მიხეილი, პირველდაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ, თბილისის სახელოსნო სასწავლებელში მიაბარეს, რომელიც მან 1910 წ. დაამთავრა.

სახელოსნო სასწავლებელს წესად ჰქონდა სადამო-წარმოდგენის გამართვა კურსდამთავრებულთა მონაწილეობით. 1909 წ. 29 დეკემბერს ასეთ წარმოდგენაში მონაწილეობა მიხეილ ჭიაურელმაც მიიღო. დადგმა რუსულ-ქართული იყო. ქართულად უჩვენეს ერთმოქმედებიანი ვოდვეილი „ახირებულია“, რომელიც ქართული თეატრის მსახიობმა, ივანიძემ დადგა. მ. ჭიაურელმა მოხუცი აკაკი აკაკიევის როლი ითამაშა და სრული სისრულით გამოსახა ახალგაზრდა ქალში შეყვარებული მოხუცის როლი. ამრიგად, ჭიაურელის პირველი რეჟისორი ივანიძე იყო.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, მ. ჭიაურელმა მუშაობა იარაღოვის ქარხანაში დაიწყო ზეინკლად, რეგულარულად ესწრებოდა სახალხო სახლთან არსებული ქართული სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის სპექტაკლებს. 1910 წ. შემოდგომაზე იგი ამ წრის წევრი გახდა. 1910-1911 წწ. სათეატრო სეზონში მხოლოდ მოზარდების როლები ათამაშეს. სხვანაირად არც შეიძლებოდა, რადგან ამ დროს მხოლოდ 16 წლის იყო: სოსიკოს როლი ტ. რამიშვილის „მეზობლები“, გიმნაზიელი გიორგის როლი ნ. შიუკაშვილის „სიმახინჯე“-ში, გოგიას როლი პ. ირეთელის „ქრისტიანე“-ში, მოზარდ ილუას როლი ა. ცაგარელის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“-ში, გლეხის ბიჭის როლი ა. ყაზბეგის „არსენა“-ში, ბარენდის როლი ჰარმანის „იმედის დაღუპვა“-ში. რეჟისორმა ა. წუწუნავამ შეამჩნია ახალგაზრდა მსახიობის უდავო ნიჭიერება და რთულ როლებზე გადაიყვანა ჭიაურელი, როგორებიც იყო: გლეხი ვანო (ი. გელევანიშვილის „მსხვერპლი“); ზაქარა, აკოფა (ავქ. ცაგარელის „მათიკო“ და „ხანუმა“); ტიგრანა (ტრ. რამიშვილის „შემლიწნი“).

მიხეილ ჭიაურელის მიერ შესრულებულ კომედიურ როლებს შორის საინტერესო იყო ყვეები პრაპორშნიკი მსუბუქაშვილი ვ. გუნიას „აღლუმი“-ში, გულუბრყვილო და უქნარა იოთამი, მისსავე პიესაში „დედისერთა“, ბეგლარი (გ. ერისთავის „დავა“), მოურავი (ავქ. ცაგარელის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“), სტუდენტი (ლ. ანდრეევის „ღღენი ჩვენი ცხოვრებისა“), დობჩინსკი (ნ. გოგოლის „რევიზორი“).

1910-1914 წწ. სახალხო სახლთან არსებულ ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველ წრეში მ. ჭიაურელი ოთხი სეზონის განმავლობაში მოღვაწეობდა. აქ მან განასახიერა: იაპონელი ინოზა ირონარი (ლენგიელის „ტაიფუნი“), ერეკლე (ალ. სუმბათაშვილის „დალატი“), ლეიტენანტი ფონ-ლაუფენი (ბეიერლენის „სამხედრო ბანაკში“), პოლ ლაკომბი (გერბიდონის „მადაროს უფროსი მუშა“).

1914 წ. მიხეილ ჭიაურელმა თავი დაანება იარაღოვის ქარხანაში მუშაობას და სწავლა განაგრძო თბილისის სამხატვრო სასწავლებელში. მასთან ერთად სწავლობდნენ: ლადო გუდიაშვილი, ქეთევან მაღალაშვილი, შალვა ქიქოძე, ზიგმუნდ ვალიშევსკი. ქანდაკებას იაკობ ნიკოლაძე ასწავლიდა. პირველი მისი ნამუშევარი, რომელიც საჯაროდ გახდა ცნობილი იყო კოტე მესხის ბიუსტი (დაცულია საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმში), აქვეა მის მიერ შესრულებული ვასო აბაშიძის, ნიკო გოცირიძის, ვანო სარაჯიშვილის ქანდაკებებიც).

მიხეილ ჭიაურელმა სახელი მოიხვეჭა, როგორც კარიკატურების მხატვარმა (მისი მასწავლებელი იყო ცნობილი ოსტატი ოსკარ შმერლინგი). მისი დებიუტი, როგორც კარიკატურების ოსტატის, მოხდა 1914 წ. ზაფხულში გამართულ სცენის მოყვარეთა სრულიად საქართველოს ყრილობაზე მ. ჭიაურელმა გამოაქვეყნა კარიკატურების მთელი სერია ჩვენი სცენის მოღვაწეებზე სათაურით: „სრულიად საქართველოს სცენის მოყვარეთა ყრილობაზე მოკრეფილი ყვავილები“. ასეთი მკვეთრი ინდივიდუალობის მიუხედავად, მ. ჭიაურელი მაინც ღრამატულ თეატრს შერჩა: „ხელოვნების ყველა დარგებიდან, რომლებშიც მე მაშინ ვმუშაობდი, იგონებს იგი, ჩემთვის ყველაზე საინტერესო ისევ თეატრი აღმოჩნდა...“ ოცი წლის ასაკში ის უკვე პროფესიონალი მსახიობი გახდა და მუდმივი ხელფასი დაენიშნა.

1914-1915 წწ. სეზონი 21 სექტემბერს გაიხსნა, ხოლო 26 სექტემბერს თეატრის შენობას ხანძარი გაუჩნდა, რომელმაც შთანთქა ქართული თეატრის ერთ-ერთი კერა თბილისში. დასი მაინც განაგრძობდა მუშაობას, თუმცა ახალი არაფერი დადგმულა. მ. ჭიაურელმა ამ სეზონში ითამაშა: ჰენრიხი (ენგელის „ზღვასთან“), ბლოხინი (ლ. ანდრეევის „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“), დანიელი (ფ. შილერის „ყაჩაღები“), გიმნაზიელი (ნ. შიუკაშვილის „სიმახინჯე“), ბუღალტერი ენიში (გუდერმანის „ქვის მთელენი“).

მ. ჭიაურელმა მონაწილეობა მიიღო დასის საგასტროლო მოგზაურობაში ბათუმში და ითამაშა გასტონი (ა. დიუმას „მარგარიტა გოტიე“) და პოლიციელი (დენერისა და კორმონის „ორი ობოლი“).

1915-1916 წწ. სეზონში მ. ჭიაურელი მუშაობას განაგრძობდა სახალხო წარმოდგენების მმართველ წრეში. იმხანად მან იმიტატორობის ნიჭიც გამოავლინა. ბრწყინვალედ გამოსახავდა ბევრ იმდროინდელ ცნობილ პირს: სანდრო ყალობეგიშვილს, გიორგი ფრონისპირელს, ალექსანდრე წუწუნავას, ვანო სარაჯიშვილს.

1917 წლის ზაფხულში მ. ჭიაურელმა მონაწილეობა მიიღო ისტორიულ-ეთნოგრაფიული საზოგადოების მიერ ექვთიმე თაყაიშვილის ხელმძღვანელობით მოწყობილ ისტორიულ-არქეოლოგიურ ექსპედიციაში თურქეთში, თორთუმ-ისპირში და შეისწავლა ტაო-კლარჯეთში მდებარე ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლები. ექსპედიციაში მუშაობდნენ: ე. თაყაიშვილი, არქიტექტორი კალგინი, ეთნოგრაფი ი. ზდანევიჩი. მხატვრები ლ. გუდიაშვილი და დ. შევარდნაძე. ამ მხატვრებთან ერთად მიხეილ ჭიაურელმა გადაიღო ქართული ეკლესიების: ოშკის, იშხანისა და

ხახულის მოხატულობის პირები (ეს იშვიათი ნამუშევრები დაცულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში).

ექსპედიციიდან დაბრუნების შემდეგ, მ. ჭიაურელი მსახიობად ქუთაისის დრამატულ თეატრში მიიწვიეს. 1917-1918 წწ. სეზონი გაიხსნა ნ. შიუკაშვილის „სულელით“, სადაც მ. ჭიაურელმა მთავარი როლი (ბარათაშვილი) ითამაშა. ქუთაისის თეატრში მ. ჭიაურელმა განასახიერა შემდეგი როლები: სოსიკო, გორგასლიანი (შ. დადიანის „შენი ჭირიმე“ და „გუშინდელნი“), მეფე ლუარსაბი (ს. შანშიაშვილის „უგვირგვინო მეფენი“). მ. ჭიაურელის წარმატებასა და პოპულარობაზე ქუთაისში საუბრობდნენ აკაკი ვასაძე, ემანუელ აფხაიძე, კუკური პატარიძე, რომლებიც იმხანად ქუთაისის თეატრში მუშაობდნენ.

1919 წ. ზაფხულს მ. ჭიაურელი თბილისში გადმოვიდა და შევიდა ჯაბადარის სტუდიაში. აქ მან ისე კარგად ითამაშა ბარათაშვილის როლი ნ. შიუკაშვილის პიესაში „სულელი“, რომ ავტორისგან საჩუქრად მიიღო პიესის ეგზემპლარი წარწერით: „ჭკვიან სულელს, „სულელის“ ავტორისგან“.

1920 წლის შემოდგომიდან მ. ჭიაურელი ქართული თეატრის დასშია და სეზონის განმავლობაში შეასრულა: ბერდო, მეფე ლუარსაბი (ს. შანშიაშვილის „უგვირგვინო მეფენი“ და „ბერდო ზმანია“), მიხა (ი. გელევანიშვილის „მსხვერპლი“).

1921 წლის მარტსა და აპრილში შეიქმნა ქართული და რუსული თეატრები. ქართული თეატრის ხელმძღვანელობა რეჟისორ მ. ჭიაურელს დაევა. თეატრმა რამდენიმე წარმოდგენა გამართა. ამავე დროს, იგი რუსთაველის თეატრში მსახიობად განაგრძობდა მოღვაწეობას.

1922 წელს მ. ჭიაურელი მიემგზავრება გერმანიაში, სადაც პრაქტიკას გადის დრეზდენის სამხატვრო აკადემიის გამოჩენილ მოქანდაკეთა სახელოსნოებში, ხოლო ორი წლის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებული ქმნის ლენინის, ზ. ფალიაშვილის, ვ. სარაჯიშვილის, ნ. გოცირიძისა და სხვათა სკულპტურულ პორტრეტებს.

1924 წელს, გერმანიიდან დაბრუნების შემდეგ, რეჟისორად დაიწყო მუშაობა თბილისის წითელ თეატრში, შემდეგ მუშათა თეატრში, ხოლო 1927-1928 წლებში ამ თეატრის ხელმძღვანელია. 1926 წლიდან ხელმძღვანელობდა „კოოპთეატრს“, რომლისგანაც წარმოიქმნა ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრი. დუდე ძნელაძესთან ერთად მან განახორციელა ისეთი საინტერესო დადგმები, როგორიც იყო: მოლიერის „სკაპენის ოინები“, ოდრანის ოპერეტა „მასკოტა“, ლოპე დე ვეგას „თივა და ავი ძაღლი“ და სხვა. იგი მუსიკალური კომედიის თეატრის ხელმძღვანელობას განაგრძობდა 1942 წლამდე, ვიდრე „მოსფილში“ გადავიდოდა სამუშაოდ, საიდანაც იწყება ახალი ეტაპი მის შემოქმედებაში.

1921 წელს ჭიაურელი მიიწვიეს კინოფილმის „არსენა ჯორჯიაშვილი“ მთავარი როლის შემსრულებლად. ფილმი ეკრანზე 1921 წლის ოქტომბერში გამოვიდა და წარმატებით მიდიოდა ეკრანებზე, ამ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღოდა მიხეილ ჭიაურელს. 1921-1927 წლებში მ. ჭიაურელს ხშირად იღებენ კინოში, რაც მას საშუალებას

აძლევდა დაუფლებოდა კინოსპეციფიკას. ამ პერიოდში შექმნილი სახეებიდან აღსანიშნავია ოსმან ალა („სურამის ციხე“), ჯონდო („ნათელა“), დათო („ხანუმა“), რომლებიც უდავოდ მეტყველებდნენ მსახიობის მაღალნიჭიერებაზე.

1927 წელს ჭიაურელი იღებს თავის პირველ ფილმს „უკანასკნელ საათი“. ეს დებიუტი არ ქცეულა მოვლენად არც ჭიაურელისთვის და არც ეროვნული კინემატოგრაფიისთვის. იგი მოწაფის ვარჯიშს უფრო ჰგავდა. 1928 წელს ეკრანზე გამოდის მ. ჭიაურელის და ძიგანის ერთობლივი ნამუშევარი „პირველი კორნეტი სტრეშნიოვი“, რომელშიც მ. ჭიაურელი პირველად ქართულ კინოში მიმართავს ნახატი კადრის გამოყენების მეთოდს. ჯერ კიდევ სცენარისეულ ვარიანტში ცდილობს წარმოადგინოს ფილმის გამომსახველობითი სტრუქტურა.

1929 წელს რეჟისორი დგამს აქტუალობის მხრივ მეტად საინტერესო ფილმს „საბა“, რომელმაც ქართულ კინემატოგრაფიაში ახალი, საყოფაცხოვრებო თემა მოიტანა. სურათს დიდ თავისებურებას ანიჭებს რეჟისორის სტილისტური ძიებები: მასში განსაკუთრებით შეიმჩნევა ლტოლვა ფოლკლორისკენ, სადაც ფიროსმანისეული კოლორიტი ორგანულად ერწყმის ნაწარმოების მთელ პლასტიკურ ქსოვილს. თავისი შემდეგი ფილმისთვის ავტორი ირჩევს სატირისა და პამფლეტის მახვილ იარაღს. ასე იქმნება „ხაბარდა“ (1931 წ.), რომელიც ჩაფიქრებული იყო როგორც პოლიტიკური მახვილი და ფორმით თამამი პროტესტი. ახალი ჟანრის, კინოპამფლეტის შემოსვლას ბევრი კრიტიკოსი თავშეკავებით შეხვდა. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ყველაზე ნათლად სწორედ ამ ფილმში ავლენს რეჟისორი მონუმენტური ფორმის, ფართო ეპიკური ტილოს შექმნისაკენ სწრაფვას და პოტენციურ შესაძლებლობებს.

1934 წ. ეკრანზე გამოდის მ. ჭიაურელის ახალი კინოფილმი „უკანასკნელი მასკარადი“, რომელიც რეჟისორის ბიოგრაფიაში ჭეშმარიტად საეტაპო ნაწარმოები გახდა. 1937 წ. გამოდის მისი ახალი ფილმი „არსენა“ (სსრკ სახელმწიფო პრემია 1941 წ.), სადაც სახალხო გმირსა და ხალხს შორის ორგანული კავშირის თემის დამუშავებისას მ. ჭიაურელი ფართოდ იყენებს ფერწერას, მუსიკასა და ფოლკლორულ მოტივებს. კინოფილმმა „არსენა“ ტრიუმფით შემოიარა საბჭოთა ეკრანი, მან ერთნაირად ააღაპარა რიგითი მაყურებელი და პროფესიონალები. ფილმის „დიადი განთიადი“ (1938 წ.) შემდეგ, მ. ჭიაურელი კვლავ უბრუნდება სახალხო გმირის თემას. ამჯერად მისი ყურადღება მიიქცია გიორგი სააკაძის ცხოვრებამ. ამ თემით დაინტერესება გამოიწვია ომის მრისხანე დღეებმა, როცა პატრიოტული ჟღერადობის ნაწარმოებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა (კ/ფ „გიორგი სააკაძე“ სსრკ სახელმწიფო პრემია I სერიას მიენიჭა 1943 წ., II სერიას კი – 1946 წ.).

1940-50 წლებში მ. ჭიაურელი მუშაობს „მოსფილმი“-ში, სადაც ქმნის ისეთ ცნობილ ფილმებს, როგორიცაა: „ფიცი“, „ბერლინის დაცემა“ (სსრკ სახელმწიფო პრემია 1950წ. დიდი პრიზი კარლოვი ვარის V კინოფესტივალზე) და „დაუვიწყარი 1919 წელი“ (დიდი პრიზი კარლოვი ვარის VII კინოფესტივალზე).

სტალინის გარდაცვალების შემდეგ, მ. ჭიაურელი სვერდლოვსკში გადასახლეს, სადაც მას არ ჰქონდა თავისუფალი მუშაობის საშუალება. თავის ჩანაწერებში იგი აღნიშნავს, რომ პიროვნების კულტთან ერთად ებრძვიან მას და მის შემოქმედებას.

1957 წელს, თბილისში დაბრუნების შემდეგ, რეჟისორი კვლავ მიმართავს თავისი ხალხის თემას. ილია ჭავჭავაძის „ოთარანთ ქვრივი“ ეკრანიზაციაში ახალი ძალით იფეთქა მ. ჭიაურელის შემოქმედებისთვის დამახასიათებელმა ტენდენციებმა. მომდევნო ფილმში მ. ჭიაურელი ძალას ცდის სოფლის თემაზე და იღებს კინოფილმს „ამბავი ერთი ქალიშვილისა“, მას მოჰყვა პუბლიცისტური ჟღერადობის ფილმი „გენერალი და ზიზილები“. 1965 წ. გადაიღო ფილმი „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“; ამავე დროს დგამს მთელ რიგ მკვეთრ და საინტერესო მულტიპლიკაციურ ფილმებს: „როგორ მარხავდნენ თავგები კატას“, „ყიფლიყო“, „განთიადის მომდერალი“, „ქირურგი მამალი“, „რწყილი და ჭიანჭველა“, „სახლი“.

„ჭიაურელი, უპირველეს ყოვლისა გვიყვარს და გვიყვარს იმიტომ, რომ მის ჩვევებსა და ქცევაში, სიმღერასა თუ საუბარში, ნაოცნებარსა თუ ხმამაღალ ფიქრებში ჟღერს წარმტაცი და ხალისიანი საქართველო, თბილისის განუმეორებელი კოლორიტი, სილადე და აზრთა სიცხოველე – აი, რა გვხიბლავს ამ ადამიანში“ – ამბობდა სერგეი ეიზენშტეინი.

მიხეილ ჭიაურელი სტალინური პრემიის ხუთგზის ლაურეატია (1941, 1943, 1946, 1947, 1950 წლებში). მიღებული აქვს ვენეციის კინოფესტივალის ოქროს მედალი 1946 წ.

მიხეილ ჭიაურელი გარდაიცვალა 1974 წ. იგი ჯერ თბილისის კინოსტუდიის ეზოში დაკრძალეს, ხოლო შემდეგ გადასვენეს მთაწმინდის პანთეონში.

ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. მ. ჭიაურელის მოწმობა თბილისის მიხაილოვის საქალაქო სახელობო სასწავლებელში გაველილი საგნების და შესწავლილი ხელობის შესახებ. 1910 წ. 10 სექტემბერი. თბილისი. დასტამბული. შევსებული ხელით. ხელს აწერენ სასწავლებლის დირექტორი (ხელმოწერა არ იკითხება) და პედაგოგიური საბჭოს მდივანი ელიავა. ბეჭედდასმული. დაზიანებული. რუსულ ენაზე. 2 ფ.

2. რკინიგზის მუშა-მოსამსახურეთა პროფესიის საწარმოო კავშირის კომიტეტის წერილი-თხოვნა სსსრ სახალხო კომისარიატის ხელოვნების განყოფილებისადმი, მიხეილ ჭიაურელის ხაშურში რეჟისორად დანიშვნის შესახებ. მასალას ერთვის საპასუხო წერილი რკინიგზელებისადმი თხოვნაზე უარის თქმასთან დაკავშირებით.

1927 წ. 10 ოქტომბერი. ნაბეჭდი. ადევს რეზოლუცია. ქართულ და რუსულ ენებზე. 2 ფ.

3. სახკინმრეწვის ნაწარმოების კინოფილმის „საბა“ განხილვის ოქმი.
1929 წ. 22 ივნისი. ნაბეჭდი. ხელს აწერს იაკუბსონი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

4. სარეპერტუარო კომიტეტის (რეპერტკომის) თავმჯდომარის მოადგილის ბლიახინისა და ამავე კომიტეტის კინოსექციის გამგის (გვარი არ იკითხება) ოფიციალური შეტყობინება „სოიუზკინო“ გამგეობისადმი, მიხეილ ჭიაურელის კინოფილმის „ხაბარდა“ შესახებ. საზღვარგარეთ ფილმის ჩვენება აკრძალული იყო.
1931 წ. 18 აპრილი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 ფ. 2 ეგზ.

5. რუსეთის თეატრალური საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარის ც. ნაუმოვის და გორკის სახ. კაბინეტის გამგის მ. გრიგორიევის წერილი მიხეილ ჭიაურელისადმი, 27-29 მაისს ხელოვნების მუშაკთა კონფერენციაში მონაწილეობის მიღების შესახებ.
1932 წ. 5 მაისი. ნაბეჭდი. ც. ნაუმოვის და მ. გრიგორიევის ხელმოწერით. დაზიანებული. რუსულ ენაზე. 1 ფ.

6. სრულიად საქართველოს კოოპერატივის, სავაჭრო მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარის ნარსიასა და კულტმასობრივი განყოფილების გამგის ცინცაძის მიმართვა მიხეილ ჭიაურელისადმი, გამგეობაში მომუშავე გ. ჟდენტის მოხსნის შესახებ.
1932 წ. 27 ოქტომბერი. ნაბეჭდი. 1 ფ.

7. სახკინმრეწვის კინო-ფაბრიკის ღირექციასთან არსებული რედკოლეგიის მიერ კინოფილმის „არსენა“ ლიბრეტოს განხილვის ოქმი.
პირი: ა. თითბერიძე, მ. ჭიაურელი, ნ. შენგელაია, ლ. ესაკია, ს. შანშიაშვილი, მ. გელოვანი, კრების თავმჯდომარე მ. კალატოზოვი.
1935 წ. 23 ივლისი. ნაბეჭდი. ბოლონაკლული. დაზიანებული. რუსულ ენაზე. 11 ფ.

8. ხელოვნების საქმეთა საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარე კერუენცევის ოფიციალური წერილი მიხეილ ჭიაურელისადმი, ოქტომბრის რევოლუციისადმი მიძღვნილ სასცენარო კონკურსთან დაკავშირებით სთხოვს შეატყობინოს თემის, სიუჟეტის, მოქმედი პირების, სცენარის ქრონოლოგიური ჩარჩოების შესახებ.
1936 წ. 4 მაისი. ბლანკი. ნაბეჭდი. კერუენცევის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 1 ფ.

9. მიხეილ ჭიაურელის ოფიციალური წერილი ხელოვნების საქმეთა მთავარი კომიტეტის თავმჯდომარის კერუენცევისადმი, ატყობინებს, რომ ატარებს მოსამზადებელ სამუშაოს სცენარის დასაწერად.
1936 წ. 20 მაისი. ნაბეჭდი. მ. ჭიაურელის ხელმოწერით. დაზიანებული. რუსულ ენაზე. 1 ფ.

10. საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებული კინო-ფაბრიკის „სახკინმრეწვის“ სამმართველოს უფროს ა. თითბერიძისა და კინოფაბრიკის დირექტორის მოადგილე ე. ხაჩიძის ოფიციალური წერილი რეჟისორ მიხეილ ჭიაურელისადმი, კინოფილმის „არსენა“ გადაღების შესახებ.

1936 წ. 17 ივნისი. ნაბეჭდი. კინოფაბრიკის შტამპით. 1 ფ.

11. აქტი, სამოქალაქო ბაღში დადგმული ლენინის ძეგლის შესახებ.

პირი: მოქანდაკე მიხეილ ჭიაურელი. კომისიის წევრები: მ. შამანაური, ს. ალბუთაშვილი, ღ. ბუიშვილი.

1936 წ. 28 ოქტომბერი. ნაბეჭდი. ასლი, დამოწმებული დედანთან. დაზიანებული. 1 ფ.

12. ხელოვნების საქმეების საკავშირო კომიტეტის გაერთიანებული სახელმწიფო გამომცემლობის „ისკუსტვოს“ კინო-ფოტო სექტორის გამგე პოლუიანოვის ოფიციალური წერილი მიხეილ ჭიაურელისადმი, კრებულისთვის „ქართული კინოდრამატურგია“, ფილმის „უკანასკნელი მასკარადი“ სცენარის გაგზავნის შესახებ.

1936 წ. 4 დეკემბერი. ნაბეჭდი. პოლუიანოვის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 2 ფ.

13. მიხეილ ჭიაურელის წერილი პლატონ მიხეილის ძისადმი (გვარი არ არის მითითებული), სწერს, რომ უგზავნის კინოფილმის „დიადი განთიადი“ ლიტერატურულ სცენარს.

1936 წ. 15 დეკემბერი. ნაბეჭდი. ასლი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

14. საქართველოს სახკინმრეწვის დირექციის სხდომის ოქმი, მიხეილ ჭიაურელის მიერ კინოფილმის „დიადი განთიადი“ სცენარზე მუშაობის შესახებ.

პირი: ა. თითბერიძე, კიკნაძე, ე. ხაჩიძე, მ. ჭიაურელი, გ. ცაგარელი, შიოშვილი.

1937 წ. 6 აპრილი. ნაბეჭდი. ა. თითბერიძის და კიკნაძის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 1 ფ.

15. საქართველოს სახკინმრეწვის დირექციის სხდომის ოქმი, კინოფილმის „დიადი განთიადი“ სცენარზე მუშაობის შესახებ.

პირი: ა. თითბერიძე, კიკნაძე, ე. ხაჩიძე, მ. ჭიაურელი, გ. ცაგარელი, შიოშვილი, შ. გელევანიშვილი, ჟუჟუნაძე, ი. პერესტიანი.

1937 წ. 6 აპრილი. ნაბეჭდი. ა. თითბერიძის და კიკნაძის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 1 ფ.

16. ხელოვნების საქმეთა საკავშირო კომიტეტის უფროს კონსულტანტ ვოზნესენსკაიას ოფიციალური წერილი მიხეილ ჭიაურელისადმი, უგზავნის ამონაწერს საკონკურსოდ წარდგენილი სცენარის განხილვის ოქმიდან.

1937 წ. 16 აპრილი. ბლანკი. ნაბეჭდი. ვოზნესენსკაიას ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 2 ფ.

17. მოსკოვის კინოს სახლში კინოფილმის „არსენა“ საზოგადოებრივ-სადისკუსიო ჩვენებაზე გამომსვლელთა სია და მათი გამონათქვამების სტენოგრაფიული ანგარიში.

პირი: ვს. პუდოვკინი, კრინკინი, ჩახირიანი, კუდრიავეცი, მერკულოვი, იუდინი, ჯაფარიძე, კატინოვი, ნ. შენგელაია, მ. ჭიაურელი.

1937 წ. 9 მაისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 70 ფ.

18. საქართველოს სახკინმრეწვის სამხატვრო კოლეგიის სხდომის ოქმი კინოფილმის „დიადი განთიადი“ სცენარის განხილვის შესახებ.

პირი: ა. თითბერიძე, ე. ხაჩიძე, თოთაძე, მ. ჭიაურელი, ნ. შენგელაია, ს. დოლიძე, პლიტინი, ლ. ესაკია, დ. რონდელი, ი. მოსაშვილი, ს. ვაწაძე.

1937 წ. 9 აგვისტო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 38 ფ.

19. საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ამხ. სტალინის სახელობის რაიკომის ბიუროს სხდომის ოქმის ამონაწერი ოქტომბრის რევოლუციის მე-20 წლისთავის დღესასწაულის მოსამზადებელი კომისიის შემადგენლობის შესახებ.

პირი: ნ. ჯაში, ა. მახარაძე, შულაია, ფარცხალაძე, ზაპოროშჩენკო, მურადაშვილი, მამულაშვილი, მ. ჭიაურელი.

1937 წ. 15 სექტემბერი. ბლანკი, ნაბეჭდი. გრიფით „საიდუმლო“. რუსულ ენაზე. 1 ფ.

20. საქართველოს სსრ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ბრძანება, მიხეილ ჭიაურელის ხელმძღვანელობით არსებული მოძრავი მუსიკალური თეატრისათვის შენობის გადაცემასთან დაკავშირებით.

პირი: გ. შავეგულიძე.

1937 წ. 19 სექტემბერი. ნაბეჭდი. ასლი, დამოწმებული დედანთან. ხელმოწერა გაურკვეველია. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 ფ.

21. კინემატოგრაფიის მთავარი სამმართველოს („გ უ კ“-ის) უფროსის მოადგილე უსიევიჩის ოფიციალური წერილი საქართველოს სახკინმრეწვის დირექტორ ა. თითბერიძისადმი, კინოფილმის „დიადი განთიადი“ შეფასების შესახებ.

1937 წ. 28 სექტემბერი. ნაბეჭდი. ასლი. წერილის მარცხენა ზედა კუთხეში არის სახკინმრეწვის დირექტორის ა. თითბერიძის რეზოლუცია: „ამხ. ჭიაურელს, იხელმძღვანელო“. რუსულ ენაზე. 1 ფ.

22. მიხეილ ჭიაურელის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.

1937 წ. 3 ნოემბერი. დასტამბული. ფორმა შევსებული და ხელმოწერილი მიხეილ ჭიაურელის მიერ. რუსულ ენაზე. 2 ფ.

23. სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის კომიტეტის მხატვრული ფილმების წარმოების მთავარი სამმართველოს უფროს კურიანოვის ოფიციალური წერილი თბილისის კინოსტუდიის დირექტორ გიგოშვილისადმი, ფილმწარმოების მთავარი სამმართველოს მიერ კინოფილმის „ღიადი განთიადი“ შეფასების შესახებ.

1938 წ. დეკემბერი. ნაბეჭდი. ასლი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

24. მიხეილ ჭიაურელის ავტობიოგრაფია.

1939 წ. 19 თებერვალი. ნაბეჭდი. ჩასწორებული და ხელმოწერილია მიხეილ ჭიაურელის მიერ. რუსულ ენაზე. 2 ფ.

25. კინოფილმის „ფიცი“ შემოქმედებითი კოლექტივის განაცხადი თბილისის კინოსტუდიის სასცენარო განყოფილებისადმი, სცენარისტის მასალის შეგროვებისა და სისტემატიზაციის შესახებ.

პირი: მ. ჭიაურელი.

1939 წ. 9 აპრილი. ნაბეჭდი. ჩასწორებულია მიხეილ ჭიაურელის მიერ. რუსულ ენაზე. 10 ფ.

26. სსრკ ფილმწარმოების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილის დუბროვსკის და შრომის ჯგუფის ხელმძღვანელის ფომინას ოფიციალური წერილი თბილისის კინოსტუდიის დირექტორ გიგოშვილისადმი, კინოფილმის „ღიადი განთიადი“ გადამღები ჯგუფისთვის პრემიის გაზრდის შესახებ.

1939 წ. 16 მაისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

27. რუსეთის თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე ე. ნაუმოვასა და გორკის სახელობის კაბინეტის გამგის მ. გრიგორიევის ოფიციალური წერილი მიხეილ ჭიაურელისადმი, სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის შესახებ.

1939 წ. 28 მაისი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. დაზიანებული. 1 ფ.

28. მიხეილ ჭიაურელის წერილი სსრკ კინემატოგრაფიის კომიტეტის თავმჯდომარე ივანე ბოლშაკოვისადმი, საბჭოთა კავშირის წამყვანი რეჟისორების უმუშევრად დარჩენის შესახებ.

პირი: ვ. ტურიანი, ლ. გოლუბი, ნ. შპიკოვსკი, ლ. ბერსენევი.

1939 წ. 20 ივნისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

29. სასცენარო საბჭოს პასუხისმგებელი მდივნის ი. ტრაუბერგის ოფიციალური წერილი მ. ჭიაურელისადმი, მორიგ სხდომაზე მოწვევის შესახებ.

1939 წ. 3 ივლისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

30. ამონაწერი სსრკ კინო-ფოტო მუშაკთა სხდომის ანგარიშიდან, კინოფილმის „ღიადი განთიადი“ შემოქმედებითი ჯგუფის „საკავშირო საპატიო წიგნში“ შეყვანის შესახებ.

პირი: მიხეილ ჭიაურელი, ალექსანდრე დილმელოვი, ირაკლი გოკიელი, კონსტანტინე მიუფკე, მიხეილ გელოვანი, ვახტანგიშვილი.
1939 წ. 17 ივლისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 ფ.

31. მიხეილ ჭიაურელის ავტობიოგრაფია.
1939 წ. 1 სექტემბერი. ნაბეჭდი. მ. ჭიაურელის ხელმოწერით. 1 ფ.

32. რუსეთის ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორის ა. ბოლშეშენიკოვისა და სსრკ მწერალთა პრეზიდიუმის მდივნის ა. ფადეევის ოფიციალური წერილი მიხეილ ჭიაურელისადმი, სთხოვენ გაამზადოს საკუთარი მოგონებები კრებულისთვის „შეხვედრა სტალინთან“.
1939 წ. 19 ოქტომბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

33. მიხეილ ჭიაურელის ავტობიოგრაფია.
1939 წ. 30 ოქტომბერი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

34. მიხეილ ჭიაურელის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
1939 წ. 31 ოქტომბერი. დასტამბული, შევსებული მიხეილ ჭიაურელის ხელით. 2 ფ.

35. ს. გინზბურგის ოფიციალური წერილი მიხეილ ჭიაურელისადმი, ჟურნალის „ისკუსტვო კინო“ თანამშრომლის, მიხეილ კრიცმანის თბილისში მ. ჭიაურელის შემოქმედების გასაცნობათ გამგზავრებასთან დაკავშირებით.
1939 წ. 13 ნოემბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

36. სიკო ვაჩნაძის ოფიციალური წერილი მიხეილ ჭიაურელისადმი, ხაშურის თეატრში დ. გედევანიშვილის პიესის „გადასავალზე“ დადგმის შესახებ. .
1939 წ. 22 დეკემბერი. ხელნაწერი. ხაშურის სახელმწიფო თეატრის ბლანკი. 1 ფ.

37. ხელშეკრულება თბილისის კინოსტუდიის სახელით გ. გიგოლაშვილსა და კინოფილმის „ფიცი“ სცენარის ავტორებს მიხეილ ჭიაურელს, გიორგი ცაგარელსა და ივანე პერესტიანს შორის.
1939 წ. 27 დეკემბერი. დასტამბული. ხელით შევსებული. დაზიანებული. რუსულ ენაზე. 1 ფ.

38. მიხეილ ჭიაურელის პირადი ანგარიში.
1939 წ. ბლანკი. დასტამბული. ხელით შევსებული. 3 ფ.

39. მუსკომედიის თეატრის მთელი კოლექტივის დავალებით, ადგილკომის თავმჯდომარე ოდიშარიასა და მდივნის ჭუმბაძის განცხადება

მუსკომედიის სამხატვრო ნაწილის გამგის, სსსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატის მიხეილ ჭიაურელისადმი, მუსკომედიის თეატრსა და ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკს შორის შენობის თაობაზე დავის შესახებ.

1940 წ. 25 თებერვალი. ხელნაწერი. მელანი. 2 ფ.

40. სასცენარო განყოფილების გამგის ჩერნიავესკის ოფიციალური წერილი მიხეილ ჭიაურელისადმი, ატყობინებს, რომ 7 მარტს სასცენარო საბჭოს სხდომაზე განიხილება შემდეგი სცენარები: „ნაგოი“, „ჩემი ბედნიერება“, „სევანზე“, (Дело было на севане), „ზარაგული“, „როცა ჰყვავის ჯიდა“, „სიყვარულზე“, „რაიხანი“, „ახალგაზრდობის წლები“, „თქმულება პირველ სიყვარულზე“, „ნამდვილი ღედი“, „მოხუცები“ (მამა და შვილი), „ნდობა“, „აინა“, „გზა“. ამავე წლის 15 მარტის სხდომაზე კი სასცენარო საბჭო განიხილავს სცენარებს: „თავდაცვის ციხე-სიმაგრე“, „გაზაფხული“ (Весенние воды), „განთიადი“, „ძველ ქალაქში“, „გაზაფხული“, „სამხედრო კორესპონდენტი“, „საიდუმლო კუნძული“, „წვევამდელები“, „ბერჩიკი“, „ილია მურომეცი“, „მოხუცი ხოტაბიჩი“, „ბოქსიორები“.

1940 წ. 3 მარტი. ნაბეჭდი. ჩერნიავესკის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 1 ფ.

41. სსრკ სცენარკომთან არსებული კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტის სასცენარო განყოფილების უფროს ჩერნიავესკის ოფიციალური წერილი მიხეილ ჭიაურელისადმი, ატყობინებს, რომ 1940 წლის 19 მარტის სასცენარო საბჭოს სხდომაზე განიხილავენ სცენარებს: „ბერჩიკი“, „თავდაცვის ციხე-სიმაგრე“, „პირველი გაზაფხული“, „ჩემი ბედნიერება“, „ნაგოი“, „განთიადი“, „გზა“, „ბოქსიორები“, „ბაღბა“, „უღელტეხილს იქით“.

1940 წ. 17 მარტი. ნაბეჭდი. ჩერნიავესკის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 1 ფ.

42. სსრკ სცენარკომთან არსებული კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტის სასცენარო განყოფილების უფროს ჩერნიავესკის ოფიციალური წერილი მიხეილ ჭიაურელისადმი, ატყობინებს, რომ სასცენარო საბჭოს სხდომაზე (22 მარტს) განსახილველად წარდგენილი იქნება შემდეგი სცენარები: „თქმულება პირველ სიყვარულზე“, „სამხედრო კორესპონდენტი“, „წვევამდელები“, „ფროიმ შევარდენი“, „მთა-ყორღანი“, „საიდუმლო კუნძული“, „ჯარისკაცის ხვედრი“, „მწყემსი და მელორე ქალი“.

1940 წ. 20 მარტი. ნაბეჭდი. დაზიანებული. რუსულ ენაზე. 1 ფ.

43. ლენინგრადის მოზარდმაყურებელთა კინოთეატრის „როტ-ფრონტი“ დირექტორ საველიუვის და კინოპედაგოგ პერეტცის წერილი მიხეილ ჭიაურელისადმი, კინოთეატრში ჩატარებული კონკურსის შესახებ.

1940 წ. 10 აპრილი. ბლანკი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

44. თბილისის კინოსტუდიის კადრების სექტორის უფროს კოროშინაძის მიერ გაცემული ცნობა, მიხეილ ჭიაურელის მოსკოვში მივლინების შესახებ.

1940 წ. 25 სექტემბერი. ნაბეჭდი. 1 ფ.

45. სსრკ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტის მიერ გაცემული მოწმობა, მ. ჭიაურელის სამკერდე საიუბილეო მედლით „საბჭოთა კინემატოგრაფიის 20 წელი“ დაჯილდოვების შესახებ.

1940 წ. 13 ოქტომბერი. რუსულ ენაზე. 1 ც.

46. ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროს ბ. გოგუას ბრძანება თბილისის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრში სარეჟისორო კოლეგიის შემადგენლობის შესახებ.

პირი: ვაჟა ნოდია, მიხეილ ჭიაურელი, არჩილ ჩხარტიშვილი, ვლადიმერ გერსამია, ლეონიდ ვოლოვიჩი.

1940 წ. 14 ნოემბერი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. 1 ფ.

47. მ. ჭიაურელის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.

1940 წ. 18 ნოემბერი. დასტამბული. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 2 ფ.

48. საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და ტფილისის კომიტეტის ორგანოს „ხორჰრდანი ვრასტანი“ რედაქტორის მოდგილე ერემიანის ოფიციალური წერილი მიხეილ ჭიაურელისადმი, უგზავნის გაზეთის იმ ნომერს, რომელშიც ჭიაურელის სტატია დაიბეჭდა.

1940 წ. 12 დეკემბერი. ბლანკი. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

49. რეჟისორ მიხეილ ჭიაურელსა და თბილისის კინოსტუდიის დირექტორ ერასტი ხაჩიძეს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულება მხატვრულ ფილმის „გიორგი სააკაძე“ გადაღების შესახებ.

1941 წ. 29 მარტი. დასტამბული ფორმა, შევსებული ხელით. მ. ჭიაურელის და ე. ხაჩიძის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 2 ფ.

50. სსრკ სახკინოგამომცემლობის დირექტორ ბუდაევის ოფიციალური წერილი მიხეილ ჭიაურელისადმი, 1941 წ. თემატური გეგმისთვის და ნაშრომების საავტორო განაცხადის წარდგენის შესახებ.

1941 წ. 12 აპრილი. ნაბეჭდი. ბუდაევის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 1 ფ.

51. სსრკ მხატვრული ფილმების წარმოების სამმართველოს უფროსის, რეჟისორ მიხეილ რომის ოფიციალური წერილი მიხეილ ჭიაურელისადმი, კინოფილმის „გიორგი სააკაძე“ სცენარში ნებისმიერი ცვლილების ავტორებთან ანა ანტონოვსკაიასთან და ბორის ჩორნისთან წინასწარ შეთანხმების შესახებ.

1941 წ. 24 ივნისი. ნაბეჭდი. მ. რომის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 1 ფ.

52. ვლადიმერ ნემიროვიჩ-დანენკოს წერილი მიხეილ ჭიაურელისადმი, მისი ნათესავის ა. ტოპოლტის მიერ კინო-ფაბრიკაში შევსებული ანკეტის შესახებ.

1942 წ. 6 აპრილი. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

53. ანა ანტონოვსკაიას და ბორის ჩორნის ოფიციალური წერილი თბილისის კინოსტუდიის დირექტორ პ. კობახიძისა და სამხატვრო ხელმძღვანელ მიხეილ ჭიაურელისადმი, კინოფილმისთვის „გიორგი სააკაძე“ სცენარის დასრულების შესახებ.

1942 წ. 25 ნოემბერი. ნაბეჭდი. ანა ანტონოვსკაიას და ბორის ჩორნის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 1 ფ.

54. მიხეილ ჭიაურელის წერილი ანა ანტონოვსკაიასადმი, საქმიანი საპასუხი წერილის ნაცვლად მისადმი პროვოკაციებითა და შენიშვნებით სავსე წერილის მიღებასთან დაკავშირებით (სთავაზობს ყველა შენიშვნა სცენარში გადააგზავნოს კინოსტუდიის სასცენარო განყოფილებაში).

1942 წ. 2 დეკემბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

55. ანა ანტონოვსკაიასა და ბორის ჩორნის ოფიციალური წერილი თბილისის კინოსტუდიის დირექტორ პ. კობახიძისადმი, სცენარის „გიორგი სააკაძე“ თვითნებური გადაკეთებებსა და ჩასწორებებთან დაკავშირებით (მიმართავენ კინოსტუდიის დირექტორს, ბოლშაკოვსა და ჩარკვიანს რათა დაიცვან მათი საავტორო უფლებები).

1943 წ. 11 იანვარი. ნაბეჭდი. ანა ანტონოვსკაიას და ბორის ჩორნის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 2 ფ.

56. მიხეილ ჭიაურელის წერილი სტალინისადმი, ავიაესკადრილის ფონდში 20000 მანეთის ჩარიცხვის შესახებ.

1943 წ. 25 იანვარი. ნაბეჭდი. მ. ჭიაურელის ხელმოწერით. დაზიანებული. რუსულ ენაზე. 1 ფ.

57. მიხეილ ჭიაურელის ოფიციალური წერილი სსრკ კინემატოგრაფიის მინისტრ ივანე ბოლშაკოვისადმი, თბილისის კინოსტუდიაში შემოქმედებითი და საორგანიზაციო საკითხების შესახებ.

პირი: ნიკოლოზ შენგელაია, ნატო ვაჩნაძე, დ. ანთაძე, ა. პეტროვი, ს. დოლიძე, დ. რონდელი, ნ. პავლენკო, ე. გაბრილოვიჩი, ნ. პიპინაშვილი, ნ. სანოვი (სანიშვილი), გ. მდივანი, შ. მანაგაძე, ა. ბელიაშვილი, ლ. ქიაჩელი, ს. ჩიქოვანი, დ. კლდიაშვილი, ორლოვსკი, დ. გურამიშვილი.

1943 წ. 28 იანვარი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 ფ.

58. მიხეილ ჭიაურელის ოფიციალური წერილი საავიაციო ქარხნის დირექტორ სალარიძისადმი, მოზარდმაყურებელთა თეატრის შენობიდან (პლესხანოვის გამზირი №103) ქარხნის რამდენიმე მუშის ოჯახის გაყვანის შესახებ.

1943 წ. 2 მარტი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

59. კინორეჟისორ ე. მაჩერეტის ოფიციალური წერილი მიხეილ ჭიაურელისადმი, კინოფილმის „Я черноморец“ გადაღებისას წარმოქმნილი საწარმოო სირთულეების შესახებ.

პირი: ბრაუნი, შეველიოვი.

1943 წ. 2 აპრილი. ნაბეჭდი. ტაშკენტის კინოსტუდიის ბლანკი. ე. მაჩერეტის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 1 ფ.

60. მიხეილ ჭიაურელის შუამდგომლობის წერილი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივან კანდიდ ჩარკვიანსა და ი. თავაძისადმი, ცნობილ მხატვარ ალექსანდრე ციმაკურიძისთვის ბინის მიღებასთან დაკავშირებით.

1943 წ. 11 მაისი. ნაბეჭდი. მ. ჭიაურელის ხელმოწერით. 1 ფ.

61. მ. ჭიაურელის ოფიციალური მიმართვა მარიამოვისადმი, კინოფილმის „გიორგი სააკაძე“ სცენარის ავტორებთან გასაუბრების შესახებ.

პირი: ი. თავაძე.

1943 წ. 20 მაისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

62. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ოფიციალური მიმართვა თბილისის კინოსტუდიის დირექციისადმი, უგზავნიან სცენარის „გიორგი სააკაძე“ შენიშვნებისა და კინოსტუდიისში ა. ანტონოვსკაიასა და ბ. ჩორნის გამოძახების შესახებ.

1943 წ. 27 მაისი. ნაბეჭდი. ასლი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

63. ანა ანტონოვსკაიას და ბორის ჩორნის ოფიციალური წერილი თბილისის კინოსტუდიის დირექციისადმი, ატყობინებენ, რომ საწარმოო განყოფილების უფროსთან მარიამოვთან შეათანხმების თანახმად მოითხოვენ კინოფილმის „გიორგი სააკაძე“ მეორე სერიიდან ამოღებული იქნას მთელი რიგი ეპიზოდები და ჩამოთვლილია ყველა ეს შეცდომა.

1943 წ. 7 ივნისი. ნაბეჭდი. ასლი, დედანთან დამოწმებული. რუსულ ენაზე. 5 ფ.

64. თბილისის კინოსტუდიის დირექტორ პ. კობახიძის ოფიციალური წერილი ა. ანტონოვსკაიასა და ბ. ჩორნისადმი, სწერს მათი შენიშვნების შედეგად ფილმში გაკეთებული ცვლილებების შესახებ და სთხოვს ფილმის სამხატვრო ხელმძღვანელთან წარმოადგინონ კონკრეტული წინადადებები.

1943 წ. 11 ივნისი. ნაბეჭდი. ასლი, დედანთან დამოწმებული. რუსულ ენაზე. 2 ფ.

65. ანა ანტონოვსკაიას და ბორის ჩორნის ოფიციალური წერილი თბილისის კინოსტუდიის დირექტორ პ. კობახიძისადმი, მათ მიმართ, როგორც ავტორებისადმი ანგარიშის გაუწევლობასთან დაკავშირებით.

1943 წ. 14 ივნისი. ნაბეჭდი. ასლი, დამოწმებული დედანთან. რუსულ ენაზე 1 ფ.

66. მიხეილ ჭიაურელის თბილისში სამოძრაო საშვი.
1943 წ. 10 ივლისი. ბლანკი შევსებული ხელით. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 კ. 1 ფ.

67. სსრკ სახკომსაბჭოს კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ი. ბოლშაკოვის ბრძანება, კინოფილმის „გიორგი სააკაძე“ წარმატებით დასრულებისთვის შემოქმედებითი ჯგუფის პრემიით დაჯილდოვების შესახებ.
1943 წ. 25 აგვისტო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 ფ.

68. მიხეილ ჭიაურელის და პეტრე პავლენკოს ოფიციალური წერილი სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ი. ბოლშაკოვისადმი, კინოფილმის „ფიცი“ სცენარზე მუშაობის ხელახლა დაწყების შესახებ.
1943 წ. აგვისტო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

69. ამონაწერი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომის ოქმიდან, ქართველი მხატვრების მიერ გამოფენის ორგანიზების შესახებ თემაზე: „ქართველი ერი საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში“.
პირი: შარია, ბაქრაძე, გოგუა, იშხანოვი, მ. ჭიაურელი, ალაფიძე, ი. ნიკოლაძე, ა. ხორავა, უ. ჯაფარიძე, შ. ქიქოძე, გიორგაძე, ა. ქუთათელაძე, ს. ქობულაძე, ი. თოიძე, თ. აბაკელია, კეშელავა.
1943 წ. 8 სექტემბერი. ნაბეჭდი. გრიფით: „სრულიად საიდუმლო“. ასლი. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ფ.

70. საქართველოს სსრ სახალხო კომისრების დადგენილება №1330 საქართველოს მხატვრების გამოფენის შესახებ თემაზე: „ქართველი ერი საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში“.
პირი: მ. ჭიაურელი, უ. ჯაფარიძე, ი. ნიკოლაძე, ა. ხორავა, თ. აბაკელია, შ. ქიქოძე, გიორგაძე, ა. ქუთათელაძე, ს. ქობულაძე, ი. თოიძე, კეშელავა.
1943 წ. 9 სექტემბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ასლი. 1 ფ.

71. სახალხო კომისართა საბჭოს კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ი. ბოლშაკოვის ოფიციალური წერილი მიხეილ ჭიაურელისადმი, წერილში ჩამოთვლილია საკითხები, რომელთა განხორციელებასაც მ. ჭიაურელმა უნდა მიაქციოს ყურადღება, მოსკოვში უნდა გაიგზავნოს მომავალი სცენარის ლიბრეტო.
1943 წ. 12 ოქტომბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. ი. ბოლშაკოვის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 1 ფ.

72. მიხეილ ჭიაურელის წერილი სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ივანე ბოლშაკოვისადმი, სწერს რამდენიმე ფილმის გადაღების შეფერხების მიზეზს. აგრეთვე, ნიკოლოზ შენგელაიას გარდაცვალებასა და ხანგრძლივად ნატო ვაჩნაძის ავადმყოფობის შესახებ. ამავე წერილში სწერს კინოფილმის „ფიცი“ მოკლე შინაარსს.

პირი: ი. მანუჩი, ნიკოლოზ შენგელაია, ნატო ვაჩნაძე, ი. ანენსკი, ნ. სანოვი (სანიშვილი), ლენინი, სტალინი.

1943 წ. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 3 ფ.

73. თბილისის კინოსტუდიის დირექტორ პ. კობახიძისა და სასცენარო განყოფილების გამგის ა. ბელიაშვილის ოფიციალური წერილი ა. ანტონოვსკაიასა და ბ. ჩორნისადმი, იმედს გამოთქვამენ, რომ ავტორების მიერ შემჩნეულ შეცდომებს გადაღების პროცესში გამოასწორებენ.

1943 წ. ნაბეჭდი. ასლი, დედანთან დამოწმებული. რუსულ ენაზე. 1 ფ.

74. კინოს ისტორიის სექციის სტენოგრამა.

პირი: მ. ჭიაურელი, ნ. ლებედევი, ი. ნიკოლაძე, ივ. პერესტიანი, მოზჟუხინი, ვს. პუდოვკინი, გრ. კოზინცევი, ლ. ტრაუბერგი, ს. იუტკევიჩი, ფ. ერმლერი, გრაბარი, ლ. კულეშოვი.

1944 წ. 21 მარტი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 ეგზ. 1 ეგზ. 11 ფ. სულ 22 ფ.

75. მიხეილ ჭიაურელის ოფიციალური წერილი სსრკ სახკომსაბჭოს კინემატოგრაფიის კომიტეტის თავმჯდომარე ივანე ბოლშაკოვისადმი, დიდ ქართველ პოეტზე – დავით გურამიშვილზე სცენარის გაგზავნის შესახებ.

1944 წ. 8 აპრილი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

76. მხატვრული ფილმების წარმოების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილის კუზნეცოვის წერილი მიხეილ ჭიაურელისადმი, ულოცავს წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოებას.

1944 წ. 17 აპრილი. ნაბეჭდი. ბლანკი. კუზნეცოვის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 1 ფ.

77. ხელშეკრულება დადებული თბილისის კინოსტუდიის მხატვრული ფილმების განყოფილების, კინოფილმის „ფიცი“ დირექტორ გ. ცირდილაძესა და სცენარისტების პეტრე პავლენკოსა და მიხეილ ჭიაურელს შორის, კინოფილმის „ფიცი“ სცენარის შემოკლების შესახებ.

1944 წ. 24 აგვისტო. ნაბეჭდი. მ. ჭიაურელის, პ. პავლენკოს და გ. ცირდილაძის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 1 ფ.

78. სსრკ სახკომსაბჭოს კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტის სამდივნოს უფროსის ოფიციალური წერილი მიხეილ ჭიაურელისადმი, უგზავნის სსრკ სახკომსაბჭოს დადგენილებას (1944წ. 5 სექტემბერი) „კინემატოგრაფიის კომიტეტის სამხატვრო საბჭოს შესახებ“.

1944 წ. 9 სექტემბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

79. საბჭოთა კავშირის სახალხო კომისარიატის სტალინური პრემიების კომიტეტის თავმჯდომარის, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის, სტალინური პრემიის ლაურეატ ი. მოსკოვინის ოფიციალური წერილი მიხეილ ჭიაურელისადმი, საბჭოთა თეატრის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით იწვევს შესვენებაზე.

1944 წ. 5 ოქტომბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

80. კინოფილმის „ფიცი“ რეჟისორის, მიხეილ ჭიაურელისა და ფილმის დირექტორ ვ. ცირდილაძის ოფიციალური წერილი სსრკ სახალხო კომისარიატის კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ი. ბოლშაკოვისადმი, ფილმის წარმოებაში ჩაშვებასთან დაკავშირებით.

1944 წ. 16 ოქტომბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

81. მიხეილ ჭიაურელის წერილი მაჭავარიანისადმი, კინოფილმის „ფიცი“ ადმინისტრაციის სუსტი მუშაობის შესახებ.

1944 წ. 12 დეკემბერი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. ფანქარი. 2 ფ. 2 კვ.ზ.

82. მიხეილ ჭიაურელის ოფიციალური წერილი სსრკ კინემატოგრაფიის მინისტრ ივანე ბოლშაკოვისადმი, სთხოვს დაავალოს საგეგმო ნაწილს კინოფილმის „ფიცი“ დირექტორ ვ. ცირდილაძესთან ერთად გადახედონ ფილმის კალენდარულ გეგმას და გენერალურ ხარჯთაღრიცხვას.

პირი: ლენინი, სტალინი, პაულიუსი, ბონე.

1945 წ. 17 იანვარი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

83. სსრკ კინემატოგრაფიის მინისტრ ი. ბოლშაკოვის ოფიციალური წერილი სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მოლოტოვისადმი, მიხეილ ჭიაურელისთვის მანქანის გამოყოფის შესახებ.

1945 წ. 23 მარტი. ნაბეჭდი. ასლი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

84. თეზისები სასცენარო სტუდიის თემატური გეგმის პროექტისთვის.

1945 წ. ნაბეჭდი. 21 მაისი. რუსულ ენაზე. 7 ფ.

85. მიხეილ ჭიაურელსა და კინოფილმის „ფიცი“ დირექტორ ვიქტორ ცირდილაძეს შორის დადებული ხელშეკრულება, ბერიას როლის შესრულების შესახებ.

1945 წ. 15 ივლისი. ნაბეჭდი. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 2 ფ.

86. თბილისის კინოსტუდიის სასცენარო განყოფილების უფროს აკაკი ბელიაშვილსა და მიხეილ ჭიაურელს შორის დადებული ხელშეკრულება, ს. ერმოლინსკის „მერანისა“ და გ. ლეონიძის „ნიკოლოზ ბარათაშვილის“ ერთ სცენარად გადაკეთების შესახებ.

1946 წ. 6 თებერვალი. ნაბეჭდი. 1 ფ.

87. სტალინური პრემიების მინიჭების კომიტეტის ბუღალტერ ტრუტნევის ოფიციალური წერილი მიხეილ ჭიაურელისადმი, სთხოვს შეავსოს და დაუბრუნოს ბლანკი სტალინური პრემიის მინიჭებასთან დაკავშირებით.

1946 წ. თებერვალი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

88. საკავშირო კინოგაერთიანების, „სოვექსპორტფილმის“ მმართველ ბრიგადნოვის ოფიციალური წერილი მხატვრული ფილმების სამმართველოს უფროს მ. კალატოზოვისადმი, (ასლი მიხეილ ჭიაურელს) კინოფილმის „გიორგი სააკაძე“ ორსერიანიდან ერთსერიან ფილმად გადაკეთების შესახებ აღნიშნავს, რომ მ. ჭიაურელმა თანხმობა განაცხადა. წერილის ბოლოს მინაწერია ლურჯი ფანქრით: „тем не менее Чиаурели оставил фильм в двух сериях“.

1946 წ. 6 მარტი. ნაბეჭდი. ბლანკი. ბრიგადნოვის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 1 ფ.

89. რუსეთის თეატრალური საზოგადოების მიმართვა მიხეილ ჭიაურელისადმი, სთხოვენ მიიღოს მონაწილეობა მსახიობის სახლში გამართულ შეხვედრაზე.

1946 წ. 7 მარტი. ნაბეჭდი. ბლანკი. ა. იაბლოჩკინას, ო. ჩეხოვას, ს. მიხოელსის, ი. ზავადსკის, ი. ოზეროვის, ვ. ბარსოვას, ა. ტარასოვას, ა. ტაიროვის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 1 ფ.

90. სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველის მოადგილე ბოგუშევის ოფიციალური წერილი მიხეილ ჭიაურელისადმი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სადეპუტატო ბილეთის აღებისას, სთხოვს ჩააბაროს სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის მოწმობა.

1946 წ. 4 მაისი. ნაბეჭდი. ბლანკი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

91. სსრკ კინემატოგრაფიის სამინისტროს სამხატვრო საბჭოს სხდომის სტენოგრამა კინოფილმის „ფიცი“ განხილვის შესახებ.

პირი: ი. ბოლშაკოვი, ბ. ჩირკოვი, ნ. ოხლოპოვი, მ. ჭიაურელი, ს. გერასიმოვი, ს. გიაცინტოვა, მ. გელოვანი, ი. პირიევი, ნ. პლოტნიკოვი, ნ. ბოგოლიუბოვი, თ. მაკაროვა, ბ. გორბატოვი, კ. ზახაროვი, ტალენსკი.

1946 წ. 30 მაისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 31 ფ.

92. სასცენარო კომისიის სხდომის სტენოგრამა, კინოფილმის „ფიცი“ შესახებ.

პირი: ტალენსკი, მ. ჭიაურელი, ს. გერასიმოვი, მ. ანჯაფარიძე, ნ. ბოგოლიუბოვი, ს. გიაცინტოვა, მ. გელოვანი.

1946 წ. 3 ივნისი. ნაბეჭდი. ასლი დამოწმებული დედანთან. რუსულ ენაზე. 6 ფ.

93. სსრკ კინემატოგრაფიის სამინისტროსთან არსებული სამხატვრო საბჭოს დასკვნა, კინოფილმის „ფიცი“ შესახებ.

პირი: მ. ჭიაურელი, პ. პავლენკო, მ. გელოვანი, ს. გიაცინტოვა, პ. ისმატოვი, ვ. სოლოვიოვი, ს. ბლინნიკოვი, დ. პავლოვი, თ. მაკაროვა, ნ. ბოგოლიუბოვი, ნ. პლოტნიკოვი, ი. ნაბატოვი, ლ. კოსმატოვი, ა. ბალანჩივაძე, რ. ლაპინსკი, მ. ანჯაფარიძე, ვ. შველიძე, ვ. ცირდილაძე, კ. ვერხოვსკი.

1946 წ. 24 ივნისი. ნაბეჭდი. ასლი. დამოწმებული დედანთან. რუსულ ენაზე. 3 ფ.

94. მიხეილ ჭიაურელის ოფიციალური წერილი სსრკ კინემატოგრაფიის მინისტრ ივანე ბოლშაკოვისადმი, სწერს, რომ სტუდიის აქტიური დახმარების გარეშე კინოფილმი „ბერლინის დაცემა“ დროზე ვერ დამთავრდება.

[1946წ.] 27 აგვისტო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

95. მიხეილ ჭიაურელის ხელწერილები დღიური თანხის მიღების შესახებ ვენეციაში ყოფნის დროს. 1946 წ. 4 და 23 ოქტომბერი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 3 ფ. 3 ეგზ.

96. კინემატოგრაფიული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა „სახკინმრეწვს“, საგამომცემლო ხელშეკრულება დადებული მიხეილ ჭიაურელსა და პეტრე პავლენკოს შორის, სცენარის „ფიცი“ გამოცემის შესახებ.

1946 წ. 19 ოქტომბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

97. სსრკ კინემატოგრაფიის სამინისტროს მხატვრული ფილმების წარმოების მეორე მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე ბაბინის ოფიციალური წერილი მიხეილ ჭიაურელისადმი, კინოფილმის „პოეტის აკვანი“ სარეჟისორო სცენარის დასკვნასთან დაკავშირებით.

პირი: ლ. ასათიანი, კ. პიპინაშვილი.

1946 წ. 16 ნოემბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

98. სსრკ კინემატოგრაფიის სამინისტროს სახკომსაბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტის გამომცემლობის „გოსკინოიზდატ“ ღირეჟტორ გრაჩევის წერილი მიხეილ ჭიაურელისადმი, სთხოვს 15-20 იანვრისთვის წარადგინოს სტატია ნაციონალურ კინოში სამსახიობო კადრების აღზრდის შესახებ.

1946 წ. 11 დეკემბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. გრაჩევის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 1 ფ.

99. თბილისის კინოსტუდიის სასცენარო განყოფილებასა და მიხეილ ჭიაურელს შორის დადებული ხელშეკრულება სცენარის „თქმულება უშბაზე“ ვარიანტების გადამუშავების შესახებ.

1947 წ. 6 იანვარი. ნაბეჭდი. მ. ჭიაურელისა და ა. ბელიაშვილის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 1 ფ.

100. მიხეილ ჭიაურელის მოწმობა ხარკოვში მივლინების შესახებ.
1947 წ. 9 იანვარი. დასტამბული. ბლანკი. შევსებული ხელით. ნეუნის და
კორშანსკაიას ხელმოწერით. მელანი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

101. კინოსტუდიის „ქართული ფილმი“ სამხატვრო ხელმძღვანელ მიხეილ
ჭიაურელის შენიშვნები, კინოფილმში „ქეთო და კოტე“ მსახიობთა
შერჩევისა და მათი როლების ტიპაჟებზე მორგებასთან დაკავშირებით.
პირი: თ. ჭავჭავაძე, მ. დავითაშვილი, ნ. ცომაია, ბ. კრავეიშვილი, მ.
ჯაფარიძე, მ. ნაკაშიძე, ნ. ვაჩნაძე, ხამაშურიძე, ვ. ცირდილაძე, დ.
გამრეკელი, ლ. გუდიაშვილი, გ. შავგულიძე, ჯ. როსინი, ჟ. ბ. მოლიერი.
1947 წ. 13 მარტი. ნაბეჭდი. ჩასწორებულია ფანქრით და მელნით. რუსულ
ენაზე. 2 ფ. 2 ეგზ.

102. კინოსტუდიის სამხატვრო ხელმძღვანელ მიხეილ ჭიაურელის დასკვნა
ა. ფილიმონოვის (კ. ლორთქიფანიძის მონაწილეობით) სცენარზე
„Материнская слава“.
1947 წ. 18 მარტი. ნაბეჭდი. ასლი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

103. „П В О“-ს ჩრდილო-დასავლეთ ოლქის პოლიტსამმართველოს
უფროსის მოადგილე პოლკოვნიკ ერმოლენკოს და
კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებების განყოფილების გამგე
პოლკოვნიკ პოლიშჩუკის ოფიციალური წერილი მიხეილ ჭიაურელისადმი,
ულოცავენ სტალინური პრემიის მინიჭებას.
1947 წ. 12 ივნისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

104. მიხეილ ჭიაურელის ოფიციალური წერილი თბილისის კინოსტუდიის
დირექტორ მიხეილ კვესელავასადმი, სამივლინებო თანხის ანაზღაურების
შესახებ.
1947 წ. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

105. კინოსტუდიის სამხატვრო ხელმძღვანელ მიხეილ ჭიაურელის დასკვნა
ვ. კარსანიძის სცენარზე „შეჯიბრი გრძელდება“ („Соревнование
продолжается“).
1947 წ. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

106. სვერდლოვსკის რაიონული კომიტეტის მდივან ბელკინის
ოფიციალური მიმართვა მიხეილ ჭიაურელისადმი, ატყობინებს, ე.
გოლშევას, ტ. გოლშევასა და ე. ბლაიშანს შორის ბინის გაცვლის
შესახებ.
1948 წ. 6 მარტი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

107. მოსკოვის აკადემიური სამხატვრო თეატრის დირექტორ-
განმკარგულებელ ვ. მესხეთელისა და ლიტნაწილის გამგე ვ. ვილენკინის
ოფიციალური წერილი პეტრე პავლენკოსა და მიხეილ ჭიაურელისადმი,

პიესის „ფიცი“ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში ჩაბარების შესახებ.

1948 წ. 16 აპრილი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 ფ. 2 ეგზ.

108. მოსკოვის აკადემიური სამხატვრო თეატრის (MXAT) დირექტორ-განმკარგულებელ ვ. მესხეთელის და ლიტნაწილის გამგე ვილენკინის ოფიციალური წერილი პეტრე პავლენკოსა და მიხეილ ჭიაურელისადმი, პიესის „ფიცი“ თეატრის რეპერტუარში შეტანაზე უარის თქმის შესახებ.

1948 წ. 18 მაისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

109. სსრკ ხელოვნების მუშაკთა ცენტრალური სახლის გამგეობის თავმჯდომარე, სსრკ სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატ ბარსოვას და დირექციის ფილიპოვის, ვილენსკისა და ლოგვინოვის ოფიციალური წერილი მიხეილ ჭიაურელისადმი, ულოცავენ სსრკ სახალხო არტისტის წოდების მინიჭებას.

1948 წ. 7 ივნისი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

110. საოლქო გაზეთის „პოგრანიჩნიკ არმენი“ პასუხისმგებელი რედაქტორ მაღახოვსკის და პასუხისმგებელ მდივან დრუჩინინის ოფიციალური წერილი მიხეილ ჭიაურელისადმი, რედაქციის სახელით ულოცავენ სსრკ სახალხო არტისტის წოდებას.

1948 წ. 15 ივნისი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

111. მიხეილ ჭიაურელის ავტობიოგრაფია.

1948 წ. 29 ივნისი. ბლანკი. ნაბეჭდი. მ. ჭიაურელის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 2 ფ.

112. მიხეილ ჭიაურელის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.

1948 წ. ივნისი. დასტამბული. შევსებული ხელით. რუსულ ენაზე. 2 ფ.

113. სსრკ კინემატოგრაფიის მინისტრ ბოლშაკოვის ბრძანება კინოფილმის „ბერლინის დაცემა“ გადამღები ჯგუფისადმი, „მოსფილმში“ მივლინების შესახებ.

პირი: მ. ჭიაურელი, ვ. ცირდილაძე, მერი ანჯაფარიძე, ვ. შველიძე.

1948 წ. 13 ივლისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

114. სსრკ კინემატოგრაფიის სამინისტროს ბრძანება კინოფილმის „ბერლინის დაცემა“ გადამღები ჯგუფისადმი, კინოსტუდიის „მოსფილმში“ მივლინების შესახებ.

1948 წ. 13 ივლისი. ნაბეჭდი. ასლი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

115. სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარე ა. იაბლოჩკინას ოფიციალური წერილი მიხეილ ჭიაურელისადმი, მშვიდობის დაცვისთვის კულტურის მოღვაწეთა

საერთაშორისო კონგრესთან დაკავშირებით გამართულ სადამოში
მონაწილეობის მიღების შესახებ.

1948 წ. 14 სექტემბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

116. მცირე თეატრის დირექტორ ლ. შაპოვალოვის ოფიციალური წერილი
მ. ჭიაურელისადმი, სცენარის „ბერლინის დაცემა“ საფუძველზე პიესის
შექმნის შესახებ.

1948 წ. 24 სექტემბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

117. მიხეილ ჭიაურელის წითელ მოედანზე ოქტომბრის სოციალისტური
რევოლუციის 31-ე წლისთავეზე დასასწრები საშვი.

1948 წ. 7 ნოემბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

118. ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური მცირე თეატრის
დირექტორ შაპოვალოვს და პ. პავლენკოსა და მ. ჭიაურელს შორის
დადებული ხელშეკრულება პიესის „ბერლინის დაცემა“ დაწერის შესახებ.

1948 წ. 11 ნოემბერი. ნაბეჭდი. ბეჭდვადამუშაო. რუსულ ენაზე. 1 ფ.

119. „დეტგიზის“ მთავარ რედაქტორ სესილია კომპანიეცს, მიხეილ
ჭიაურელსა და მანუელ ბოლშინცოვს შორის დადებული ხელშეკრულება,
ნაშრომის „ლენინ-სტალინი“ გამოცემის უფლების შესახებ.

1948 წ. 30 ნოემბერი. ნაბეჭდი. ასლი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

120. მიხეილ ჭიაურელის მოწმობა, გაცემული სსრკ კინემატოგრაფიის
სამინისტროს კინოსტუდიის „მოსფილმის“ მიერ, რეჟისორ-მწარმოებლის
თანამდებობაზე მუშაობის შესახებ.

1949 წ. 1 იანვარი. რუსულ ენაზე. 1 ც.

121. სსრკ კინემატოგრაფიის სამინისტროს სამხატვრო საბჭოს სხდომის
სტენოგრამა, კინოფილმის „ბერლინის დაცემა“ გასინჯვა-განხილვის
შესახებ.

პირი: სურკოვი, ზახაროვი, ერმილოვი, გოროდეცკი, დანილოვი, შჩერბინა,
ილიჩევი, მ. ჭიაურელი.

1949 წ. 3 მარტი. ნაბეჭდი. 14-27 გვერდის ჩათვლით ნაკლულია. რუსულ
ენაზე. 15 ფ.

122. ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის წერილი
მიხეილ ჭიაურელისადმი, ედვარდ შაუგჰნესი სთხოვს „მსოფლიო
მშვიდობისათვის კულტურისა და მეცნიერების“ კონფერენციის
მონაწილეებს დატოვონ აშშ კონფერენციის დასრულებისთანავე. წერილის
ქვედა მარცხენა მხარეს მიხეილ ჭიაურელის მიერ მიწერილია წერილის
მოკლე შინაარსი.

1949 წ. 29 მარტი. ნაბეჭდი. ედვარდ შაუგჰნესი ხელმოწერით. ინგლისურ
ენაზე. 1 ფ.

123. სსრკ კინემატოგრაფიის მინისტრ ივანე ბოლშაკოვის ოფიციალური წერილი მიხეილ ჭიაურელისადმი, აცნობებს, რომ მ. კალატოზოვი ვერ ასწრებს საკუთარი ფილმის დასრულებას, ამიტომ იძულებულია გახდნენ ჩაენაცვლებინათ მიხეილ ჭიაურელის ფილმით „ბერლინის დაცემა“.

1949 წ. 4 აგვისტო. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

124. სსრკ კინემატოგრაფიის სამინისტროს მცირე სამხატვრო საბჭოს სხდომის სტენოგრამა კინოფილმის „ბერლინის დაცემა“ შესახებ.

პირი: პ. პავლენკო, მ. ჭიაურელი, გრიგორიევი, მედვედკინი, ილიჩოვი, დუბროვინა, სურკოვი, შჩერბინა, ზასლავსკი, ლეონოვი, ზახაროვი, სტეპანოვი, გოროდეცკი, მ. გორბატოვი.

1949 წ. 15 დეკემბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 45 ფ.

125. სსრკ კინემატოგრაფიის სამინისტროს სამხატვრო საბჭოს სხდომის ოქმის ამონაწერი კინოფილმის „ბერლინის დაცემა“ განხილვის შესახებ.

პირი: მ. გორბატოვი, გოროდეცკი, დუბროვინა, ერმილოვი, ზასლავსკი, ზახაროვი, ლეონოვი, სტეპანოვი, სურკოვი, შჩერბინა, ბოლშაკოვი, რიაზანოვი.

1949 წ. 15 დეკემბერი. ნაბეჭდი. ბირიუკოვას ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 1 ფ. 2 ეგზ.

126. სსრკ კინემატოგრაფიის სამინისტროს სასცენარო სტუდიის დირექტორ ერემინის ოფიციალური წერილი მიხეილ ჭიაურელისადმი, ვ. შორნიკოვისა და სტუევის სცენარის „არწივის ახალგაზრდობა“ (Юность орла) გაგზავნის შესახებ.

1949 წ. 24 დეკემბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

127. კინოსტუდიის „მოსფილმი“ სამხატვრო საბჭოს სხდომის სტენოგრამა, კინოფილმის „ბერლინის დაცემა“ (ორი სერია) გასინჯვა-განხილვის შესახებ.

პირი: მ. რომი, ა. დოვჟენკო, ვირტა, არნშტამი, გ. მდივანი, ლეონიდოვი, სმირნოვა, სტროევა, მ. ჭიაურელი, კუზნეცოვი.

1949 წ. 24 დეკემბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 26 ფ.

128. ჰონორარის გადახდის საბუთი მიხეილ ჭიაურელისა და პეტრე პავლენკოს კინოფილმის „ბერლინის დაცემა“ სცენარისთვის.

1950 წ. 20 იანვარი. ბლანკი. ნაბეჭდი. კუზნეცოვის და ოვრუჩსკის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 1 ფ.

129. ლენინგრადის კინოს სახლში ჩატარებული კინოფილმის „ბერლინის დაცემა“ განხილვის სტენოგრამა.

პირი: როშალი, კარჩევსკი, სერებროვსკაია, შაპირო, ეროშკინი, ლიალიკოვი, კარა, რაპოპორტი, ვასილიევი, რომანოვა, მ. ჭიაურელი.

1950 წ. 1 თებერვალი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 36 ფ.

130. მიხეილ ჭიაურელის ოფიციალური წერილი სამხედრო გაზეთის „როდინა“ რედაქციისადმი, გაზეთის საშუალებით საბჭოთა არმიას ულოცავს 32-ე წლისთავს.

1950 წ. 17 თებერვალი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

131. სსრკ საინფორმაციო ბიუროს განყოფილების რედაქტორ ბეგლოვის ოფიციალური წერილი მიხეილ ჭიაურელისადმი, საინფორმაციო ბიურომ მიზამეწონილად ჩათვალა ჭიაურელის წერილის ასლი გაეგზავნა ვაშინგტონში. თანხმობის შემთხვევაში ჭიაურელს ხელი უნდა მოეწერა.

1950 წ. 21 თებერვალი. ნაბეჭდი. ბეგლოვის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 1 ფ.

132. სომხეთის კინემატოგრაფიის მინისტრ შაგინიანის ოფიციალური წერილი მიხეილ ჭიაურელისადმი, მოელი სომხეთის სახელით ერევანში მიწვევის შესახებ.

1950 წ. 8 მარტი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

133. გაზეთის „ლენინსკოე ზნამია“ რედაქტორ ანუფრიევის ოფიციალური წერილი მიხეილ ჭიაურელისადმი, ულოცავს სტალინური პრემიის მინიჭებას.

1950 წ. 9 მარტი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

134. თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ისტორიის კაბინეტის მოსწავლეების მიერ მიხეილ ჭიაურელისადმი მიძღვნილი მოხსენებები, შთაბეჭდილებები და სიტყვები.

პირი: თემურ ხოფერია, ლალი მიქელაძე, მანუჩარ ანთაძე, ციალა კარბელაშვილი, ჯილდა ქორქია, ჯინა მიქაძე, ნელი ზამბახიძე, ნათია ამირეჯიბი, იბესტი გურგენიძე, ტატიშვილი, ვერიკო ანჯაფარიძე, მიხეილ ჭიაურელი, ირინე მიქელაძე.

1950 წ. 14 მარტი. ხელნაწერი. მელანი. ტუში. აკვარელი. ვერცხლისფერი ბრინჯაო. ავტორი თამაზ ნათიძე. სათაურების და თავსამკაულების ავტორი ჯავახიშვილი. 1 ც. 22 ფ.

135. ჟურნალ „სოვეტსკი ვოინის“ რედაქტორის მოადგილე მაიორ პოზდნიაევის წერილი მიხეილ ჭიაურელისადმი, ულოცავს ჯილდოს (იგულისხმება სტალინური პრემია), უგზავნის ჟურნალ „სოვეტსკი ვოინის“ № 4, რომელშიც არის რეცენზია ფილმზე „ბერლინის დაცემა“.

1950 წ. 14 მარტი. ბლანკი. ნაბეჭდი. პოზდნიაევის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 1 ფ.

136. მოსკოვის კინოთეატრის „უდარნიკი“ დირექტორ ვართანოვის ოფიციალური წერილი მიხეილ ჭიაურელისადმი, ულოცავს სტალინური პრემიის მინიჭებას.

1950 წ. 15 მარტი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

137. რესპუბლიკური პარტიული სკოლის დირექტორ შ. ცაგარეიშვილისა და ამავე სკოლის პარტბიუროს მდივან ალ. გაბუნიას წერილი მიხეილ ჭიაურელისადმი, კოლექტივის სახელით სთხოვენ ეწვიოს და ესაუბროს მის შემოქმედებით გზაზე.

1950 წ. 30 მარტი. ნაბეჭდი. ბლანკი. 1 ფ.

138. ისიდორე დოლიძეს, პეტრე პავლენკოსა და მიხეილ ჭიაურელს შორის დადებული ხელშეკრულება პიესის „დიადი მომავლისათვის“ („ბერლინის დაცემა“) შეძენის შესახებ.

1950 წ. 30 მარტი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. 2 ფ.

139. სამხედრო გაზეთის „სუვოროვეცი“ რედაქციის და ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის სარდლობის და პოლიტორგანოს წერილი მიხეილ ჭიაურელისადმი, გულწრფელად ულოცავენ სტალინური პრემიის მინიჭებას.

1950 წ. 3 აპრილი. დასტამბული. ბლანკი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

